

# ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

## 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დემიკოლ ტრანსპორტ გრუპი“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 31 იანვარს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ს/კ : 404 464 325

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო ავტო სატრანსპორტო გადაზიდვები.

იურიდიული მისამართი : საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, მ. წინამძღვრიშვილის ქ., #5

ფიქტიური მისამართი : საქართველო, თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ., # 189

კომპანიის დირექტორი : ფ/პ ოზან ემრე ქოლჩაქი (პ/ნ 28363118484)

## 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

„აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად ( შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე , რომელიც შესაბამისობაშია მსს ფასს-თან და მოიცავს შესაღარის ინფორმაციას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს-ის, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.“

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყოფილია ამ ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

### 2.1 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, რომელიც შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებულ ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. შემდგომში ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. ყველა სხვა დანახარჯი რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდშიდან.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება , ანუ, ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში.

ძირითად საშუალებას ცვეთა ერიცხება საგადასახადო მეთოდით.

### 2.2 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით.

### 2.3 დაბეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდება როგორც საგადასახადო აქტივი.

## 2.4 შემოსავალი

მომსახურების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება ტრანსპორტირების დაწყებისთანავე.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექსპო ხდება თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

## 2.5 ხარჯები და აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული მომსახურების გაწევასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

## 2.6 სახელფასო განაცემი

ხელფასი, ბონუსი და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.


## 2.7 საანგარიშო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

## 2.8 შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე, ამგვარად მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.


შპს „დემირკოლ ტრანსპორტ გრუპი“-ის დირექტორი : ოზან ემრე ქოლჩაქ



**ფინანსური მდგომარეობა**

| <b>ფინანსური მდგომარეობა</b>                                                                | <b>31/12/2022</b> | <b>31/12/2021</b> | <b>31/12/2020</b> |
|---------------------------------------------------------------------------------------------|-------------------|-------------------|-------------------|
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები                                                       | 13730             | 18721             | 1053              |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები                                                                  | 636574            | 460536            | 222810            |
| სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები                                 | 0                 | 350               | 0                 |
| მარაგები                                                                                    | 745               | 1367              | 1403              |
| მზა პროდუქცია                                                                               | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა                                                                                        | 745               | 1367              | 1403              |
| საინვესტიციო ქონება                                                                         | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა მოკლევადიანი აქტივები                                                                  | 782               | 0                 | 12755             |
| ბიოლოგიური აქტივები                                                                         | 0                 | 0                 | 0                 |
| თვითღირებულების მოდელით                                                                     | 0                 | 0                 | 0                 |
| გადაფასების მოდელით                                                                         | 0                 | 0                 | 0                 |
| გუდვილი                                                                                     | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა არამატერიალური აქტივები                                                                | 0                 | 0                 | 0                 |
| ძირითადი საშუალებები                                                                        | 365603            | 191230            | 5187              |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში                                                           | 0                 | 0                 | 0                 |
| ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში                                         | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები                                                                  | 0                 | 0                 | 0                 |
| სულ აქტივები                                                                                | 1017434           | 672204            | 243208            |
| <b>ვალდებულებები</b>                                                                        |                   |                   |                   |
| საიჯარო ვალდებულება                                                                         | 7014              | 6813              | 0                 |
| სავაჭრო ვალდებულებები                                                                       | 1762994           | 613364            | 214808            |
| ანარიცხები                                                                                  | 0                 | 0                 | 0                 |
| ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ                                                          | 0                 | 0                 | 0                 |
| საგადასახადო ვალდებულებები                                                                  | 0                 | 0                 | 0                 |
| გამომუშავებული შემოსავალი                                                                   | 0                 | 0                 | 0                 |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 0                 | 0                 | 0                 |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები                                                             | 167286            | 0                 | 0                 |
| მიღებული გრანტები                                                                           | 0                 | 0                 | 0                 |
| სხვა ვალდებულებები                                                                          | 0                 | 0                 | 0                 |
| სულ ვალდებულებები                                                                           | 1937294           | 620177            | 214808            |
| <b>საკუთარი კაპიტალი</b>                                                                    |                   |                   |                   |
| სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი') | 0                 | 384439            | 384439            |
| საემისიო შემოსავალი                                                                         | 0                 | 0                 | 0                 |
| გამოსყიდული საკუთარი აქციები                                                                | 0                 | 0                 | 0                 |
| გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)                                                   | -919860           | -332412           | -356039           |
| გადაფასების რეზერვი                                                                         | 0                 | 0                 | 0                 |
| საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები                                                        | 0                 | 0                 | 0                 |
| სულ საკუთარი კაპიტალი                                                                       | -919860           | 52027             | 28400             |
| სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები                                                      | 1017434           | 672204            | 243208            |
| სულ მოკლევადიანი აქტივები                                                                   | 1017434           | 672204            | 243208            |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები                                                              | 1937294           | 620177            | 214808            |

| საქმიანობის შედეგები                                                     |            |            |
|--------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| საქმიანობის შედეგები                                                     | 31/12/2022 | 31/12/2021 |
| ნეტო ამონაგები                                                           | 8071373    | 5518141    |
| საქონლის გაყიდვიდან                                                      | 0          | 0          |
| მომსახურების გაწვიდან                                                    | 8071373    | 5518141    |
| სამშენებლო ხელშეკრულებებიდან                                             | 0          | 0          |
| სხვა                                                                     | 0          | 0          |
| გაყიდვების თვითღირებულება                                                | 0          | 0          |
| საწყისი მარაგები                                                         | 0          | 0          |
| მარაგების შესყიდვა                                                       | 0          | 0          |
| გადამუშავების დანახარჯები                                                | 0          | 0          |
| საბოლოო მარაგები                                                         | 0          | 0          |
| საერთო მოგება                                                            | 8071373    | 5518141    |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი                                               | 32986      | 26921      |
| დასაქმებულთა ანაზღაურება                                                 | -294416    | -207403    |
| ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი                                               | -66746     | -19040     |
| საპროცენტო შემოსავალი                                                    | 0          | 0          |
| საპროცენტო ხარჯი                                                         | 0          | 0          |
| იჯარის ხარჯი                                                             | 0          | 0          |
| ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი                                 | -8330645   | -5293482   |
| სულ საოპერაციო ხარჯები                                                   | -8658821   | -5493004   |
| საოპერაციო მოგება                                                        | -587448    | 25137      |
| <b>გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:</b>                                   |            |            |
| ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                       | 0          | 0          |
| მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა                                 | 0          | 0          |
| სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა               | 0          | 0          |
| სახსრების გადაფასებიდან                                                  | 0          | 0          |
| მიღებული დივიდენდები                                                     | 0          | 0          |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)                                  | 0          | 0          |
| მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან | -587448    | 25137      |
| მოგების გადასახადის ხარჯი                                                | 0          | -1510      |
| საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი                                   | -587448    | 23627      |
| <b>სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):</b>                                 |            |            |
| ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების      | 0          | 0          |
| გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები                | 0          | 0          |
| სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:                                   | 0          | 0          |
| მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)                                      | -587448    | 23627      |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                      | 52027      | 28400      |
| შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა'                                    | 0          | 0          |
| განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)                           | 0          | 0          |
| სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში                                    | 0          | 0          |
| კაპიტალის სხვა ცვლილებები                                                | -384439    | 0          |
| საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                           | -919860    | 52027      |



| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              |            |            |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------|------------|------------|
| ფულადი სახსრების მოძრაობა                                                                              | 31/12/2022 | 31/12/2021 |
| საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები     | -4991      | 17668      |
| საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები | 0          | 0          |
| საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები       | 0          | 0          |
| ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)                                                                     | -4991      | 17668      |
| ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე                                 | 0          | 0          |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში                                | 18721      | 1053       |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს                                     | 13730      | 18721      |

